საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2410/01
04/03/2020

2410-01-2-202003041159

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 3 თებერვლის N 2-12/1323 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მდ. ყუმურის წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაოებს (კალაპოტის გაწმენდით სამუშაოებს).

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, მდინარე ყუმურის კალაპოტიდან ამოღებული გრუნტი განთავსდება მდინარის კალაპოტის ორივე მხარეს ბერმის სახით მასალის 30 მ-ის მანძილზე გადაადგილებით. ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე ტერიტორიები წარმოადგენს კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწებს. ასევე, პროექტით გათვალისწინებულ ზემოქმედების არეალში ხვდება ბუნებრივი აირის მილსადენი (გაზსადენი). შესაბამისად, მდინარის მყარი ნატანის 30 მეტრიან რადიუსში გადაადგილებითა და განთავსებით მოსალოდნელია ზემოაღნიშნულ ობიექტებზე ზემოქმედება. შესაბამისად წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს მყარი ნატანის განთავსების საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის პროცედურის განხორციელებას უზრუნველყოფს მას შემდეგ, რაც სამინისტროში წარმოდგენილი იქნება განახლებული სკრინინგის განცხადება ზემოაღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044